საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№280/32

2019 წელი, 2 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: რატი იონათამიშვილის, სოფიო კილაძის, ირაკლი ბერაიას, ანრი ოხანაშვილის, მერაბ ქვარაიას, ცოტნე ზურაბიანის, დიმიტრი მხეიძის, დავით მათიკაშვილის, ვანო ზარდიაშვილის, გიორგი ხატიძის, სოფიო ქაცარავას და გუგული მაღრაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის თაობაზე“ (07-3/360; 05.06.2019) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი I მოსმენით განხილვის ვადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს დადგენილების პროექტს, 2019 წლის 4 სექტემბრიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ ორი კვირით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე